

შპს ბარმაგლოტ თბილისი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

## სარჩევი

|                                                                                              |    |
|----------------------------------------------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....                  | 3  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ..... | 4  |
| კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის .....                    | 4  |
| ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები .....                                   | 5  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                                   | 5  |
| 2. მომზადების საფუძველი .....                                                                | 5  |
| 3. მსს ფასს-ზე გადასვლა.....                                                                 | 7  |
| 4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....                              | 8  |
| 5. ფული და ფულის ექვივალენტები.....                                                          | 12 |
| 6. მარაგები .....                                                                            | 12 |
| 7. გაცემული ავანსები .....                                                                   | 12 |
| 8. ძირითადი საშუალებები .....                                                                | 13 |
| 9. სავაჭრო ვალდებულებები.....                                                                | 14 |
| 10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....                                                     | 15 |
| 11. სესხები .....                                                                            | 15 |
| 12. შემოსავალი რეალიზაციიდან.....                                                            | 15 |
| 13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება .....                                                | 15 |
| 14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....                                                  | 16 |
| 15. ხელფასები და სხვა სარგებელი.....                                                         | 16 |
| 16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                                               | 17 |
| 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....                                          | 17 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს  
მდგომარეობით

| აქტივები                              | შენიშვნა | 31-12-23         | 31-12-22         | 31-12-21           |
|---------------------------------------|----------|------------------|------------------|--------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 5        | 89,750           | 36,632           | 39,830             |
| სავაჭრო მოთხოვნები                    |          | 28,907           | 46,128           | -                  |
| მარაგები                              | 6        | 131,611          | 145,320          | 73,676             |
| გაცემული ავანსები                     | 7        | 206,339          | 211,863          | 205,143            |
| სხვა მიმდინარე აქტივები               |          | 1,072            | -                | -                  |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      |          | <b>457,679</b>   | <b>439,943</b>   | <b>318,649</b>     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                  |                  |                    |
| ძირითადი საშუალებები                  | 8        | 573,797          | 714,376          | 784,564            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>573,797</b>   | <b>714,376</b>   | <b>784,564</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>1,031,476</b> | <b>1,154,319</b> | <b>1,103,213</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |          |                  |                  |                    |
| სავაჭრო ვალდებულებები                 | 9        | 226,658          | 106,211          | 549,596            |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები       | 10       | 312,448          | 335,400          | 203,653            |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>539,106</b>   | <b>441,611</b>   | <b>753,249</b>     |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |          |                  |                  |                    |
| სესხები                               | 11       | 829,203          | 833,088          | 1,549,799          |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები       |          | -                | -                | -                  |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>829,203</b>   | <b>833,088</b>   | <b>1,549,799</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |          | <b>1,368,309</b> | <b>1,274,699</b> | <b>2,303,048</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>              |          |                  |                  |                    |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | 5,000            | -                | -                  |
| <b>გაუნაწილებელი მოგება</b>           |          | <b>(341,833)</b> | <b>(120,380)</b> | <b>(1,199,835)</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>          |          | <b>(336,833)</b> | <b>(120,380)</b> | <b>(1,199,835)</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>1,031,476</b> | <b>1,154,319</b> | <b>1,103,213</b>   |

დირექტორი



ვიტალი ემ

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

| აქტივები                              | შენიშვნა | 31-12-23         | 31-12-22         | 31-12-21           |
|---------------------------------------|----------|------------------|------------------|--------------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 5        | 89,750           | 36,632           | 39,830             |
| სავაჭრო მოთხოვნები                    |          | 28,907           | 46,128           | -                  |
| მარაგები                              | 6        | 131,611          | 145,320          | 73,676             |
| გაცემული ავანსები                     | 7        | 206,339          | 211,863          | 205,143            |
| სხვა მიმდინარე აქტივები               |          | 1,072            | -                | -                  |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      |          | <b>457,679</b>   | <b>439,943</b>   | <b>318,649</b>     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                  |                  |                    |
| ძირითადი საშუალებები                  | 8        | 573,797          | 714,376          | 784,564            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>573,797</b>   | <b>714,376</b>   | <b>784,564</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>1,031,476</b> | <b>1,154,319</b> | <b>1,103,213</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |          |                  |                  |                    |
| სავაჭრო ვალდებულებები                 | 9        | 226,658          | 106,211          | 549,596            |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები       | 10       | 312,448          | 335,400          | 203,653            |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>539,106</b>   | <b>441,611</b>   | <b>753,249</b>     |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |          |                  |                  |                    |
| სესხები                               | 11       | 829,203          | 833,088          | 1,549,799          |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები       |          | -                | -                | -                  |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>829,203</b>   | <b>833,088</b>   | <b>1,549,799</b>   |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |          | <b>1,368,309</b> | <b>1,274,699</b> | <b>2,303,048</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>              |          |                  |                  |                    |
| საწესდებო კაპიტალი                    |          | 5,000            | -                | -                  |
| <b>გაუნაწილებელი მოგება</b>           |          | <b>(341,833)</b> | <b>(120,380)</b> | <b>(1,199,835)</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>          |          | <b>(336,833)</b> | <b>(120,380)</b> | <b>(1,199,835)</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  |          | <b>1,031,476</b> | <b>1,154,319</b> | <b>1,103,213</b>   |

დირექტორი -----

ვიტალი ემ

## მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

|                                                   | შენიშვნა | 2023             | 2022             |
|---------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| შემოსავალი                                        | 12       | 3,492,754        | 5,251,493        |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება               | 13       | (1,094,062)      | (1,581,796)      |
| <b>საერთო მოგება</b>                              |          | <b>2,398,692</b> | <b>3,669,697</b> |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები                 | 14       | (868,923)        | (1,057,505)      |
| ხელფასები და სხვა სარგებელი                       | 15       | (1,539,618)      | (1,946,529)      |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი                     | 8        | (172,274)        | (156,601)        |
| სხვა შემოსავლები                                  |          | 123,531          | 505,822          |
| სხვა ხარჯები                                      |          | (121,710)        | (75,469)         |
| <b>მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე</b> |          | <b>(180,302)</b> | <b>939,415</b>   |
| საპროცენტო შემოსავალი                             |          | -                | -                |
| საპროცენტო ხარჯი                                  |          | -                | -                |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                         |          | (19,046)         | 154,913          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                         |          | <b>(199,348)</b> | <b>1,094,328</b> |
| მოგების გადასახადი                                |          | (22,105)         | (14,873)         |
| <b>წმინდა მოგება</b>                              |          | <b>(221,453)</b> | <b>1,079,455</b> |

## კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

|  | 2023 | 2022 | 2021 |
|--|------|------|------|
|--|------|------|------|

|                    |           |             |             |
|--------------------|-----------|-------------|-------------|
| ნაშთი 1 იანვარი    | (120,380) | (1,199,835) | (804,275)   |
| წმინდა მოგება      | (221,453) | 1,079,455   | (395,560)   |
| კაპიტალის ზრდა     | 5,000     | -           | -           |
| ნაშთი 31 დეკემბერი | (336,833) | (120,380)   | (1,199,835) |

## ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „შპს ბარმაგლოტ თბილისი“ დაფუძნდა 2019 წელს. საქართველო, ქალაქი თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ქუჩა ბესიკი N 4, სართული 2 . კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404585613

100%-იანი კომპანიის მფლობელი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Barmaglot Tbilisi LLP, (საიდენტიფიკაციო : 190640017697) /ყაზახეთი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო დაწესებულებას. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი: დირექტორი - ვიტალი ემ, (N11162349) /ყაზახეთი/.

### 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2023 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):**

| აქტივები                              | 31-12-22         | 31-12-21         | 31-12-20       |
|---------------------------------------|------------------|------------------|----------------|
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 36,632           | 39,830           | 31,863         |
| სავაჭრო მოთხოვნები                    | 46,129           | -                | -              |
| მარაგები                              | 145,320          | 73,676           | -              |
| გაცემული ავანსები                     | 219,892          | 208,702          | 219,255        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      | <b>447,973</b>   | <b>322,208</b>   | <b>251,118</b> |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |                  |                  |                |
| ძირითადი საშუალებები                  | 714,375          | 784,562          | 110,531        |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      | <b>714,375</b>   | <b>784,562</b>   | <b>110,531</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   | <b>1,162,348</b> | <b>1,106,770</b> | <b>361,649</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |                  |                  |                |
| სავაჭრო ვალდებულებები                 | 110,828          | 534,702          | 670            |
| მიღებული ავანსები                     | -                | 16,285           | -              |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები       | 339,615          | 205,819          | (5,652)        |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> | <b>450,443</b>   | <b>756,806</b>   | <b>(4,982)</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |                  |                  |                |
| სესხები                               | 833,088          | 1,549,799        | 789,661        |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> | <b>833,088</b>   | <b>1,549,799</b> | <b>789,661</b> |

|                                      |                  |                  |                |
|--------------------------------------|------------------|------------------|----------------|
| სულ ვალდებულებები                    | 1,283,531        | 2,306,605        | 784,679        |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>             |                  |                  |                |
| გაუნაწილებელი მოგება                 | (121,183)        | (1,199,835)      | (423,030)      |
| სულ საკუთარი კაპიტალი                | (121,183)        | (1,199,835)      | (423,030)      |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b> | <b>1,162,348</b> | <b>1,106,770</b> | <b>361,649</b> |

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

| შენიშვნა                                  | 2022             | 2021             |
|-------------------------------------------|------------------|------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                  | 5,251,493        | 1,140,005        |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება       | (1,581,796)      | (426,804)        |
| <b>საერთო მოგება</b>                      | <b>3,669,697</b> | <b>713,201</b>   |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები         | (1,072,378)      | (669,933)        |
| ხელფასები და სხვა სარგებელი               | (1,947,332)      | (836,318)        |
| ზირიტადი საშუალებების ცვეთის ხარჯი        | (156,601)        | (81,945)         |
| სხვა შემოსავალები                         | 505,821          | 4,792            |
| სხვა ხარჯები                              | (75,468)         | (2,939)          |
| <b>მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობამდე</b> | <b>923,739</b>   | <b>(873,142)</b> |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                 | 154,913          | 96,337           |
| <b>მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე</b>        | <b>1,078,652</b> | <b>(776,805)</b> |
| მოგების გადასახადი                        | -                | -                |
| <b>წმინდა მოგება/(ზარალი)</b>             | <b>1,078,652</b> | <b>(776,805)</b> |

### 3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

#### 4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

##### 4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

|                        | საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი |        |
|------------------------|----------------------------------------------|--------|
|                        | აშშ დოლარი                                   | ევრო   |
| 2023 წლის 31 დეკემბერი | 2.6894                                       | 2.9753 |
| 2022 წლის 31 დეკემბერი | 2.702                                        | 2.8844 |

##### 4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ

შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

| ჯგუფი                               | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|-------------------------------------|-------------------------------------|
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 10                                  |
| მანქანა-დანადგარები                 | 12                                  |
| ოფისის აღჭურვილობა                  | 5                                   |
| უნიფორმა                            | 5                                   |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 7                                   |

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

#### 4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც

გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

#### 4.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

#### 4.5 სესხები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

#### 4.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

#### 4.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

#### 4.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

## 5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს როგორც საბანკო ანგარიშებზე, ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის, გააჩნია ფული სალაროშიც. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

| ფულადი სახსრები          | 31-12-23      | 31-12-22      |
|--------------------------|---------------|---------------|
| სალარო                   | 37,226        | 8,444         |
| ფული საბანკო ანგარიშებზე | 52,524        | 28,188        |
| <b>სულ</b>               | <b>89,750</b> | <b>36,632</b> |

## 6. მარაგები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

| მარაგები              | 31-12-23       | 31-12-22       |
|-----------------------|----------------|----------------|
| ნედლეული (სამზარეულო) | 32,903         | 34,877         |
| ნედლეული (ბარი)       | 98,708         | 110,443        |
| <b>სულ</b>            | <b>131,611</b> | <b>145,320</b> |

## 7. გაცემული ავანსები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

| გაცემული ავანსები | 31-12-23 | 31-12-22 |
|-------------------|----------|----------|
| იჯარის ავანსი     | 203,806  | 203,806  |
| სხვა              | 2,533    | 8,057    |

|     |         |         |
|-----|---------|---------|
| სულ | 206,339 | 211,863 |
|-----|---------|---------|

#### 8. ძირითადი საშუალებები

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

| ისტორიული ღირებულება                | ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი | დამატება      | ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი |
|-------------------------------------|---------------------------------|---------------|------------------------------------|
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 61,560                          | -             | 61,560                             |
| მანქანა-დანადგარები                 | 22,853                          | -             | 22,853.00                          |
| ოფისის აღჭურვილობა                  | 231,798                         | 1,517         | 233,315                            |
| უნიფორმა                            | 7,209                           | -             | 7,209                              |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 633,457                         | 30,178        | 663,635                            |
| <b>სულ</b>                          | <b>956,877</b>                  | <b>31,695</b> | <b>988,572</b>                     |

| დაგროვილი ცვეთა                     | დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი | ცვეთის ხარჯი   | დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი |
|-------------------------------------|----------------------------|----------------|-------------------------------|
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 11,709                     | 6,156          | 17,865                        |
| მანქანა-დანადგარები                 | 4,148                      | 2,738          | 6,886                         |
| ოფისის აღჭურვილობა                  | 59,246                     | 39,512         | 98,758                        |
| უნიფორმა                            | 2,155                      | 1,442          | 3,597                         |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 165,243                    | 122,426        | 287,669                       |
| <b>სულ</b>                          | <b>242,501</b>             | <b>172,274</b> | <b>414,775</b>                |

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

| ისტორიული ღირებულება                | ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი | დამატება      | ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი |
|-------------------------------------|---------------------------------|---------------|------------------------------------|
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 61,560                          | -             | 61,560                             |
| მანქანა-დანადგარები                 | 22,853                          | -             | 22,853                             |
| ოფისის აღჭურვილობა                  | 223,964                         | 7,834         | 231,798                            |
| უნიფორმა                            | 7,209                           | -             | 7,209                              |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 554,878                         | 78,579        | 633,457                            |
| <b>სულ</b>                          | <b>870,464</b>                  | <b>86,413</b> | <b>956,877</b>                     |

| დაგროვილი ცვეთა                     | დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი | ცვეთის ხარჯი   | დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი |
|-------------------------------------|----------------------------|----------------|-------------------------------|
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5,553                      | 6,156          | 11,709                        |
| მანქანა-დანადგარები                 | 1,409                      | 2,739          | 4,148                         |
| ოფისის აღჭურვილობა                  | 20,573                     | 38,673         | 59,246                        |
| უნიფორმა                            | 713                        | 1,442          | 2,155                         |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი             | 57,652                     | 107,591        | 165,243                       |
| <b>სულ</b>                          | <b>85,900</b>              | <b>156,601</b> | <b>242,501</b>                |

## 9. სავაჭრო ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

| სავაჭრო ვალდებულებები | 31-12-23       | 31-12-22       |
|-----------------------|----------------|----------------|
| სამზარეულო            | 21,268         | 27,927         |
| ბარი                  | 65,016         | 41,180         |
| ადმინისტრაციული       | 140,374        | 37,104         |
| <b>სულ</b>            | <b>226,658</b> | <b>106,211</b> |

### 10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

| მოკლევადიანი ვალდებულებები | 31-12-23       | 31-12-22       |
|----------------------------|----------------|----------------|
| გადასახდელი ხელფასი        | 161,178        | 200,481        |
| საგადასახადო ვალდებულებები | 151,270        | 134,919        |
| <b>სულ</b>                 | <b>312,448</b> | <b>335,400</b> |

### 11. სესხები

სესხები სრულად შედგება დედა კომპანიისგან ნასესხები სახსრებისგან. კომპანიას არ გააჩნია სესხები ბანკებისგან.

### 12. შემოსავალი რეალიზაციიდან

2023 და 2022 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| რეალიზაცია | 2023             | 2022             |
|------------|------------------|------------------|
| ბარი       | 2,794,203        | 4,201,194        |
| სამზარეულო | 698,551          | 1,050,299        |
| <b>სულ</b> | <b>3,492,754</b> | <b>5,251,493</b> |

### 13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2023 და 2022 წლების განმავლობაში დარიცხული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

| თვითღირებულება | 2023 | 2022 |
|----------------|------|------|
|----------------|------|------|

|            |                  |                  |
|------------|------------------|------------------|
| ბარი       | 886,190          | 1,281,255        |
| სამზარეულო | 207,872          | 300,541          |
| <b>სულ</b> | <b>1,094,062</b> | <b>1,581,796</b> |

#### 14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები | 2023           | 2022             |
|-----------------------------------|----------------|------------------|
| იჯარის ხარჯი                      | 432,824        | 409,499          |
| მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები   | 30,624         | 127,184          |
| საბანკო ხარჯი                     | 67,283         | 87,413           |
| ჰიგიენის ხარჯი                    | 38,185         | 66,672           |
| ტექნიკური მომსახურების ხარჯი      | 51,476         | 65,739           |
| ბუღალტრული მომსახურების ხარჯი     | 61,627         | 53,004           |
| საგადასახადო ხარჯი                | 14,581         | 13,198           |
| სხვა                              | 172,323        | 234,796          |
| <b>სულ</b>                        | <b>868,923</b> | <b>1,057,505</b> |

#### 15. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

| ხელფასები და სხვა სარგებელი | 2023      | 2022      |
|-----------------------------|-----------|-----------|
| მენეჯმენტის ხელფასი         | 177,535   | 242,963   |
| სხვა სახელფასო ხარჯი        | 1,362,083 | 1,703,566 |

|     |           |           |
|-----|-----------|-----------|
| სულ | 1,539,618 | 1,946,529 |
|-----|-----------|-----------|

## 16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

### 16.1 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 177,535 ლარი, ხოლო 2022 წელს 242,963 ლარი.

### 16.2 სესხები

კომპანიის ბალანსზე არსებული სესხები სრულად შედგება დედა კომპანიისგან ნასესხები სახსრებისგან.

## 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.